# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№7 (62) 2016

## პლატფორმა რეფორმებისთვის – უნივერსიტეტის მოდერნიზაციისთვის

***როგორი უნდა იყოს რეფორმები და რა ცვლილებებია გასატარებელი საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში, ამ თემების განსახილველად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო პლატფორმის შექმნის იდეა გაჩნდა. მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ღია და აქტიური ჩართულობა აღნიშნული საკითხების კოლეგიალურ განხილვაში. ამ საკითხებზე მსჯელობის დასაწყებად 29 ივნისს თსუ პირველი კორპუსი, აუდ. N107 -ში საუნივერსიტეტო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენცია გაიხსნება სახელწოდებით: „უნივერსიტეტის მოდერნიზაცია: სტუდენტი, როგორც უნივერსიტეტის განახლების პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილე“.***



ამგვარი კონფერენციის იდეა ბოლო პერიოდში თსუ-ში განვითარებული მოვლენების შედეგად გაჩნდა. საუნივერსიტეტო საზოგადოებაში წრმოქმნილი განახლების მოთხოვნა მისი განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისის წინაპირობაა.

კონფერენციის ორგანიზატორები აკადემიური საბჭო და თსუ უწყვეტი განათლების ცენტრი არიან. როგორც უნივერსიტეტში აცხადებენ, ბოლო პერიოდში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც უმაღლესი განათლების მთელი სისტემა დგას ჩვენს ქვეყანაში. საუნივერსიტეტო საზოგადოებაში გაჩენილი განახლების მოთხოვნა მისი განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისის წინაპირობაა. უნივერსიტეტი უნდა იქცეს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრად, რაც გულისხმობს განათლების ხარისხის ამაღლებას, სამეცნიერო კვლევების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას, საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზებას, უნივერსიტეტის მართვის მექანიზმებისა და მასში სტუდენტების მონაწილეობის ფორმების სრულყოფას. ეს ფუნდამენტური განახლების პროცესია და უნივერსიტეტის პროფესურის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის აქტიური მონაწილეობითა და მჭიდრო თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს.

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## ჰარვარდის უნივერსიტეტის საგაფხულო სკოლა თსუ-ში



ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰარვარდის უნივერსიტეტის გაფხულის სკოლა ოფიციალურად გაიხსნა. ღონისძიებას დაესწრნენ თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, აშშ საელჩოს მრჩეველი პრესისა და კულტურის საკითხებში ქორთნი ოსთრიანი, შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის დირექტორი მარინე ჩიტაშვილი, ერაზმუს პლუსის ეროვნული ოფისის წარმომადგენელი საქართველოში ლიკა ღლონტი, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს დი-

***გაგრძელება მე-2 გვ.***

## თსუ მეცნიერები ხანისწყლის ხეობის ტურისტულ პოტენციალს იკვლევენ



***თსუ მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბაღდათის მუნიციპალიტეტში რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო. ექსპედიციები 2015 წელს დაფინანსებული პროექტის ფარგლებში (EN/15/2015 „ენდოგენური წარმოშობის ბუნების ძეგლების კვლევა-პოპულარიზაცია მდინარე რიონის აუზში“) განხორციელდა.***

თსუ მკვლევარების შესწავლის ობიექტი ამ დროისთვის მდინარე ხანისწყლის ხეობაში მდებარეობს - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელი ხანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. სოფელი ხანის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ზღვის დონიდან 800 მეტრზე ზევით არის განთავსებული. სოფლის პრობლემური

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## საქართველოს ფუტსალისა და სტუდენტური ფუტსალის ლიგის გამარჯვებული თსუ-ს გუნდები არიან

საქართველოს ფუტსალის საფეხბურთო სახეობაში ივნისის თვეში ორი ჩემპიონი გამოვლინდა: საქართველოს ფუტსალისა და სტუდენტურ ფუტსალის ლიგის გამარჯვებულები თსუ-ს გუნდები არიან.

ფუტსალის ლიგის 2016 წლის ფინალში უნივერსიტეტის გუნდი მოქმედ ჩემპიონს „სტუ-თელასს“ შეხვდა და 1-0 დაამარცხა.

თამაში სპორტის სასახლეში გაიმართა. მატჩს თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, თსუ ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

უნივერსიტეტის გუნდს კუთვნილი ოქროს მედლები და თასი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და სპორტული სააგენტო SBM-ის დირექტორმა, ზაალ ჩიტალაძემ გადასცა.

თამაშის ბოლოს დასახელდნენ საუკეთესო მოთამაშეები თსუ-დან: საუკეთესო მეკარის ტიტული ალექსანდრე ჯამბურიამ მოიპოვა, საუკეთესო თავდამსხმელად ერთადერთი გოლის ავტორი ლაშა სიგუნავა დაასახელეს, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელად გიორგი ნიკვაშვილი.

თსუ ფუტსალის გუნდმა ფინალის ჩათვლით ყველა თამაში მოიგო, გუნდი 1 თვეში

***გაგრძელება მე-4 გვ.***

## თსუ-ში საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელობის აუდიტორია გაიხსნა



***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის ინიციატივით თსუ-ში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას აუდიტორია გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, სტუდენტები და პროფესორები დაესწრნენ.***

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ.“ პრეზიდენტმა აღნიშნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის როლი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში: „აუცილებელია ქართული სახელმწიფოებრიობის, პოლიტიკური ცხოვრების ხაზგასმა, სწორი აქცენტების გაკეთება. ბუნებრივია, ამ პროცესში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ღვაწლის აღიარება, მისი ხსოვნის განმტკიცება ძალიან მნიშვნელოვანია. ის არა მარტო პირველი პრეზიდენტი იყო, არამედ იმ მოძრაობის სულისჩამდგმელი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანა.“

გვ. 3

## განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შეხვედრები თსუ სტუდენტებთან

უნივერსიტეტში სტუდენტთა შორის დაპირისპირება და სტუდენტური მოთხოვნები კვლავ გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. თავისთავად, მნიშვნელოვანი თემა აღმოჩნდა ის განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრისთვის, რომელიც სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფების წარმომადგენლებს გასულ თვეში რამდენჯერმე შეხვდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის წევრებთან პირველი შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ: „შეხვედრა წარიმართა საკმაოდ ცხელი დისკუსიის ფორმატში, თუმცა, საბოლოო ჯამში ცოტა რთულად, მაგრამ მაინც მივაღწიეთ იმას, რომ „აუდიტორია 115“ მკვეთრად ჩამოაყალიბებს თუ რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, რა უნდა გავაკეთო მე, როგორც განათლების მინისტრმა იმისათვის, რომ მთავრობამ მიიღოს გადაწყვეტილება.

გვ. 2

## სტუდენტური კონკურსი „პლანეტა რიდმორი“ დასრულდა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემეცნებითი კონკურსის “პლანეტა რიდმორი“ დასრულდა. პროექტის გამარჯვებული გამომცემლობის „წიგნები ბათუმში“ მიერ დაწესებულ მთავარ პრიზს - 1000 ლარს მიიღებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გამომცემლობის სპეციალური პრიზებით პროექტის ათივე ფინალისტი დაჯილდოვდა.

***გაგრძელება მე-4 გვ.***

# სიახლეები

### თსუ-ში ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლობის, ეთიკურობისა და კვალიფიკაციის შესახებ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

20 ივნისს საქართველოს პრეზიდენტი კიდევ ერთხელ ეწვია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. თსუ-ში ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლობის, ეთიკურობისა და კვალიფიკაციის შესახებ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

პრეზიდენტთან ერთად ღონისძიებას თსუ რექტორის მოვალობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი და საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის, სახალხო გვარდიის, თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ფოტოები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

კონფერენციის მონაწილეებმა ისაუბრეს ადვოკატების საერთო გამოწვევებზე და მიმოიხილეს ადვოკატთა საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში. კონფერენციის დასასრულს შედგა ადვოკატთა მიერ შემუშავებული ერთობლივი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც შემდგომში გამოქვეყნდება, როგორც რეკომენდაციების კრებული ადვოკატთა პროფესიული გაერთიანებებისათვის.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოსთან (CCBE) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ ევროპის საბჭო, ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

### თსუ პროფესორი წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით დაჯილდოვდა

ქართულ-რუმინული ურთიერთობის გაღმავების საქმეში თსუ ანთიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით დაჯილდოვდა.

შეტანილი წვლილისთვის ანასტასია ზაქარიაძეს ორდენი რუმინეთის საპატრიარქოს სახელით გადასცა რუმინელმა მიტროპოლიტმა თეოდოსიმ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და ანთიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელშეწყობით 7 ივნისს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ანთიმოზ ივერიელი და ევროპული განმანათლებლობა: ტექსტები და კონტექსტები.“

კონფერენციის მიზანი იყო ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის როლისა და ადგილის განსაზღვრა თანამედროვე კულტურაში, კონფერენციის ამოცანა კი საერთაშორისო კვლევის ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური, საგანმანათლებლო, საერო და საეკლესიო მოღვაწეობის ფოკუსში მოქცევა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, რაც ახლებურად წარმოაჩენს ქართული თეოლოგიური და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების გზებს.

### თსუ-ს ABET-ის კომიტეტის პირველი ვორკშოფი

უნივერსიტეტში თსუ-ს ABET-ის კომიტეტის პირველი ვორკშოფი ჩატარდა, მასში მონაწილეობა თსუ ზუსტ და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლებმა მიიღეს. ღონისძიება გახსნა თსუ-ს ვიცე-რექტორმა იოსებ სალუქვაძემ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის მოადგილე პროფესორი ჰალილ გუვენი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ABET-ის კომიტეტის თავჯდომარე რამაზ ბოჭორიშვილი. ვორკშოფზე მოხსენება აშშ-ს ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო სააგენტოს – ABET-ის შესახებ წარმოადგინა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველოს წარმომადგენელმა – აბეტის უფროსმა ექსპერტმა მაჯიდ ჰაშემიპურმა.

საქართველოში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურების თავისებურებების შესახებ მოხსენება გააკეთა

**გაგრძელება მე-4 გვ.**

# განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შეხვედრები თსუ სტუდენტებთან

*პირველი გვერდიდან*





საკითხები შეეხება უნივერსიტეტის საბჭოში არჩევის წესს, თვითმმართველობის არსებული მოდელის გაუქმებას და შუალედურ რეჟიმში გადაყვანას, ასევე ისეთი პლატფორმის, სამუშაო ფორმატის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს განათლების რეფორმას, მათ შორის გარე რეფერირების საკითხზე მუშაობას. თვითმმართველობას სრული უფლება აქვს ამ პროცესებში მონაწილეობა მიიღოს. ინტერესი არის საერთო, მიზნის მიღწევის გზებში ხედვა განსხვავდება. საკმაოდ რთული საკითხები საკმაოდ მოკლე დროში გვაქვს გადასაწყვეტი“. ალექსანდრე ჯეჯელავამ აქვე დასძინა, რომ ამ მოთხოვნების შესრულება რეალურია, თუმცა, ბევრი საკითხი შესაძლოა ისე სწრაფად ვერ გადაწყდეს, როგორც ეს სტუდენტებს ან მთავრობას სურს. „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მინისტრთან შეხვედრა ნაყოფიერი იყო. „ჩვენ ჩამოვაყალიბებთ ჩვენს კონკრეტულ მოთხოვნებს. მინისტრი დაგვპირდა, რომ შეეცდება ეს საკითხები ორშაბათის სამთავრობო სხდომაზე გაიტანოს,“- განაცხადა სტუდენტური მოძრაობის წევრმა ნათია ქარჩილაძემ.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით თსუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სუდენტთა სხვა ჯგუფს – სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს ორჯერ შეხვდა. მინისტრმა აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის პატარა ჯგუფთან რამდენიმე დღის წინ გამართული შეხვედრის შემდეგ გადაწყდა თვითმმართველობის წარმომადგენელ უფრო ფართო საზოგადოებასთან შეხვედრა. მისი თქმით, შექმნილ სიტუაციაში საჭიროა სხვადასხვა ჯგუფის შეხედულებათა შეჯერება და ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება: „კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩემი შეხედულება, რომ ყველა სტუდენტის ინტერესი არის უნივერსიტეტი გახდეს უკეთესი, განვითარდეს, თვითმმართველობა გადავიდეს შემდეგ დონეზე. თუმცა, მხარეთა ხედვები განსხვავდება. სწორედ ამ განსხვავებებზე პუნქტობრივად გვქონდა საუბარი. მათ შორის საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 45-ე მუხლზეც. შემდეგი დღეებისთვის ჩემი საშინაო დავალება იქნება, შევეცადო სხვა მონაწილე მხარეებთან და სხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობის წარმოამდგენლებთან პოზიციები შევაჯეროთ.“ თსუ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ბახვა კვირიკაშვილმა შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, რომ მინისტრი შეხვდა თვითმმართველობის არა მხოლოდ პატარა ჯგუფს, არამედ ყველა წევრს; მათგან მიიღო ინფორმაცია. მისი თქმით, მინისტრი მზად არის, რომ მოლაპარაკებების გზით გადაწყდეს პრობლემები. ჩვენ მას მივაწვდით სიტუაციიდან გამოსავლის ჩვენეულ კონკრეტულ ხედვებს. შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უსამართლობის წახალისება არ უნდა ხდებოდეს საზოგადოების არც ერთი სექტორის მხრიდან.“

21 ივნისს კვლავ გაიმართა შეხვედრა „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებთან, როგორც შეხვედრის შემდეგ აუდიტორია 115-ის წევრებმა განაცხადეს, მინისტრისთვის წარდგენილი ხედვა თვისებრივად არ განსხვავდება იმისგან, რაზეც აქამდე საუბრობდნენ, თუმცა ეს ახალი მოდელი არის პასუხი სამინისტროსგან ამ დრომდე მიღებულ შეთავაზებებზე. მათივე განცხადებით, ახალი მოდელი მათ იურისტებთან კონსულტაციის შედეგად შეიმუშავეს.

“დღეს წარვადგინეთ ალტერნატიული ხედვა, თუ როგორ გვესახება სტუდენტური თვითმმართველობის წინასწარ და მკაცრად განსაზღვრული იერარქიული სისტემის თანასწორ პრინციპებად ჩამოყვანა. ჩვენ ჩვენს ღირებულებებს, ჩვენს ხედვებს არ ვაქცევთ პოლიტიკური ვაჭრობის საგნად. თუ მმართველი პოლიტიკური ძალის ნება არის ის, რომ შეიცვალოს არსებული პოლიტიკური სისტემა, თუ მმართველ პოლიტიკურ ძალას სტუდენტური თვითთმმართველობა წინასაარჩევნო აქტივობისთვის არ სჭირდება, მაშინ ეს ნება გამოიჩინოს,”- განაცხადა აუდიტორია 115-ის წევრმა გიორგი ჩიხლაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

რაც შეეხება კონკრეტულად შეთავაზებას, როგორც აუდიტორია 115-ის წევრმა ეკა მუზაშვილმა “ნეტგაზეთს” განუმარტა, მათი ხედვის თანახმად, უნდა გაუქმდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 45-ე მუხლი (სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებები) და თვითმმართველობა გადავიდეს 43-ე მუხლის ფარგლებში (სტუდენტის უფლებები). შესაბამისად, თვითმმართველობა ისარგებლებს იმ უფლებებით, რითი საგრებლობის უფლებაც აქვთ სტუდენტურ გაერთიანებებს და არ იქნებიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში. მისივე განმარტებით, ამ მოდელის მოქმედება მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, რათა ამ რეჟიმში გაგრძელდეს მოლაპარაკებები განათლების სიღრმისეულ რეფორმირებაზე.

„ეს არ ნიშნავს, რომ თვითმმართველობა უქმდება ზოგადად. ეს ნიშნავს, რომ თვითმმართველობა გადადის ჩვეულებრივი გაერთიანების რეჟიმში, როგორც ამას აწესრიგებს 43-ე მუხლი,” – ამბობს ეკა მუზაშვილი.

შეხვედრის შემდეგ განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა, რომ „აუდიტორია 115-ისგან“ ამ ცვლილების შემოთავაზების გამო შესაძლოა 23 ივნისს, ხუთშაბათს, მთავრობის სხდომაზე კანონპროექტის გატანა ველარ მოესწროს.

„აუდიტორიის“ წარმომადგენლებმა შემოგვთავაზეს ახალი ფორმულირება კონკრეტულად კანონთან მიმართებაში, რომელიც ჯერ არ განხილულა. დღეს პირველად გავიგეთ ამის შესახებ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ კონსტუქციულია მათი განწყობა და სურვილი. მეორე მხრივ, მოგეხსენებათ, დრო სჭირდება იმას, რომ ახალ საკანონმდებლო ინიციატივას გამოვეხმაუროთ და დაგაწყვეტილება მივიღოთ. შემდეგი გეგმაა, რომ შეხვედრები გაგარძელდება, თვითმმართველობასთანაც უნდა განვიხილოთ ის ვარიანტი, რაც არის შემოთავაზებული, ასევე პარალელურად იგეგმება სხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობებთან შეხვედრები და ასევე მთავრობის წევრებთან ვიხილავ ამ ვარიანტებს. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ კონსტრუქციულ გადაწყვეტილებას მოვნახავთ.

რეგულარული იქნება ჩვენი შეხვედრები და ვიმუშავებთ მანამ, სანამ საქართველლოს განათლების უკეთესი სისტემა არ ექნება“. - აცხადებს მინისტრი.

# ჰარვარდის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლა თსუ-ში

*პირველი გვერდიდან*

რექტორი, აირექს საქართველოს დირექტორი, საერთაშორისო განათლების ცენტრის უფროსი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური ტრენინგ ცენტრის დირექტორი და განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, თსუ სტუდენტები, პროფესორები.

თსუ სააქტო დარბაზის ფოიეში გამოიფინა გერმანელი ფოტოხელოვანის რუდოლფ შრადეს ფოტოები, რომელიც მან 1960, 1977 და 2012 წლებში საქართველოში მოგზაურობისას გადაიღო. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია შრადეს მიერ ხევსურეთში გადაღებული უნიკალური ფოტო-დოკუმენტური მასალა, რომელიც თსუ მუზეუმშია დაცული.

თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დარეჯან თვალთვაძის თქმით, „პირველი შემთხვევაა, როდესაც ამერიკის უძველესი უნივერსიტეტი ჩვენს უნივერსტიტეტთან ერთად ახორციელებს პროექტს. საზაფხულო სკოლა ცხრა კვირის განმავლობაში გრძელდება. მასში ჩართულები არიან ჰარვარდელი პროფესორები, ჰარვარდელი სტუდენტები, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები, რადგან პროგრამა მოიცავს ქართული ენის, კულტურის, ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების გაცნობის მოდულებსაც, რაშიც ჩვენი მხარე აქტიურადაა ჩართული. დიდი სურვილი გვაქვს რომ მსგავსი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდეს.“

„ჰარვარდელ სტუდნეტებს საშუალება ექნებათ, რომ საქართველოში გაეცნონ ქართულ ენას, კულტურას. მათ შორის რუსულ კულტურას, რადგან მათ შორის ბევრი სლავისტია. ეს თანამშრომლობის საინტერესო ფორმატია, მაღალი დონის. მიმღები მხარე ორგანიზებას გაუკეთებს ლექციებს, სემინარებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო იქნება,“-აღნიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ გიორგი შარვაშიძემ.

„ჩემი ოჯახი საქართველოდანაა. ჰარვარდის საზაფხულო სკოლის პროგრამაში იმიტომ ვმონაწილეობ, რომ ჩემს კულტურაზე უფრო მეტი შევიტყო და ასევე რუსული ენა უკეთ შევისწავლო“- განაცხადა ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტმა კატერინა რუხაძემ.

პროექტის კოორდინატორის ოქსანა უილისის თქმით, თბილისში ჰარვარდის საზაფხულო პროგრამა პირველად ტარდება. „16 სტუდენტი 9 კვირით ჩამოვიყვანეთ განსხვავებული საგნების შესასწავლად. ძირითად საგანს წარმოადგენს რუსული ენა, ქართული ისტორია და კულტურა, ქალაქ თბილისის ურბანიზაციის შესწავლა, ასევე შედის კინო. სტუდენტების გაიცნობენ ქართველ მსახიობებს, არტისტებს. ლექციათა ციკლი ასევე მოიცავს რუსულ ლიტერატურას კავკასიაზე. სტუდენტები გაეცნობიან პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოის, რომლებმაც საქართველო აღწერეს.“

ზაფხულის სკოლის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია 20-მდე სტუდენტი, რომლებიც კავკასიის და მიმდებარე ქვეყნების კულტურას, ისტორიას, ლიტერატურას და კინემატოგრაფიას შეისწავლიან. ჰარვარდის უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის ზაფხულის სკოლის მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წაუკითხავს სალექციო კურსებს ისეთ თემებზე, როგორებიცაა: საქართველოს ისტორია და პოლიტიკა, არქიტექტურა და ურბანული მორფოლოგია, ქართული ფილმი, რუსული მხატვრული ლიტერატურა კავკასიის შესახებ. სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ დახვეწონ ქართული და რუსული ენების ცოდნა.

გარდა სასწავლო აქტივობებისა, პროგრამა მოიცავს ინტენსიურ გაცნობით-შემეცნებით და კულტურულ აქტივობებს ზაფხულის სკოლის მონაწილეებისთვის როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

ზაფხულის სკოლის კულტურულ-შემეცნებითი მოდულის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით, ჰარვარდის ზაფხულის სკოლის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ შეხვდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, მოისმინონ ლექციები საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და ქართული დიპლომატიის ისტორიაზე ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო ცენტრში, დაათვალიერონ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზი, ეროვნული მუზეუმი, ფულის მუზეუმი, გაიარონ მასტერკლასები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ზაფხულის სკოლის მსმენელები ასევე მიიღებენ მონაწილეობას საველე სამუშაოებში რამდენიმე მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლზე.

ზაფხულის სკოლა 13 აგვისტომდე გაგრძელდება და სასწავლო კომპონენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში ჩატარდება.

# თსუ-ში საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელობის აუდიტორია გაიხსნა

პირველი გვერდიდან



გიორგი მარგველაშვილმა ისაუბრა დამოუკიდებლობის ოცდახუთ წელზე, ქვეყნის წინაშე მდგარ მიზანზე - დამოუკიდებლობიდან თავისუფლების მიღწევაზე, თითოეული მოქალაქის როლისა და პოლიტიკური აქტივობის მნიშვნელობაზე; უპასუხა სტუდენტთა კითხვებს, მათ შორის უნივერსიტეტში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე. „უნივერსიტეტში განვითარებულ პროცესებში არ ჩავერიე, როგორც პოლიტიკოსი იმ ნათელი გააზრებით, რომ უნივერსიტეტი ავტონომიურია. რთული იყო არჩარევა, რადგან ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ, მიყვარს ძალიან. ჩემ პიროვნულ, ინტელექტუალურ ემოციასთან არის დაკავშირებული ეს უნივერსიტეტი. ემოციურად ძალიან მინდოდა მოსვლა, მაგრამ პოლიტიკურად მესმოდა, რომ არ უნდა მოვსულიყავი. ეს არის წესი - პოლიტიკოსი არ უნდა ჩაერთოს საუნივერსიტეტო პროცესში. გადაწყვეტილება სტუდენტებმა, პროფესორებმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ. ამიტომაც კომენტარს არ გავაკეთებ უნივერსიტეტის შიდა ცხოვრებაზე. მხოლოდ ერთს ვიტყვი - ამ პროცესში საჭიროა ინტენსიური დიალოგი. აუცილებლად უნდა შედგეს კომპრომისსა და დიალოგზე დამყარებული ურთიერთობა. უნივერსიტეტმა უნდა აჩვენოს, რომ ინტელექტუალებს შორის დიალოგი შესაძლებელია, რომ ურთიერთობების რესურსად არ იყენებენ ისტერიას, დაპირისპირებას, უხეშ ფორმებს - ამას გავლენა აქვს მთელ საზოგადოებაზე,“- აღნიშნა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს საინტერესო ლექციისა და დიალოგისთვის, რომელიც აუდიტორიაში შედგა, ხოლო სტუდენტებს - შეხვედრაზე გამოხატული პოზიციისა და დამოკიდებულებისათვის. „ჩვენ სიამოვნებით გავაგრძელებთ თქვენთან ურთიერთობას. ამ მხრივ, სტუდენტები მოდუნების საშუალებას არ მოგვცემენ არც თქვენ და არც ჩვენ,“- აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

თავის მხრივ, სტუდენტებმა კმაყოფილება გამოხატეს მათ მოწვევაზე პრეზიდენტის გულისხმიერ გამოხმაურებასთან დაკავშირებით და მადლობა გადაუხადეს საჯარო ლექციისთვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფმა 2015 წელს რექტორის სახელზე შეიტანა განცხადება თხოვნით, პირველი სასწავლო კორპუსის ერთ-ერთ აუდიტორიას მინიჭებოდა პირველი პრეზიდენტის სახელი. საკითხზე იმსჯელა საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა უკვდავყოფის კომისიამ. თსუ რექტორის ბრძანებით, თსუ პირველი კორპუსის 317-ე აუდიტორიას მიენიჭა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი.

# პლატფორმა რეფორმებისთვის – უნივერსიტეტის მოდერნიზაციისთვის

პირველი გვერდიდან

კონფერენციაში მონაწილეობა შესაძლებელია თსუ-ს ყველა დაინტერესებული სტუდენტის, სტუდენტთა ფორმალურ თუ არაფორმალურ გაერთიანებების, უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალისთვის, ვისაც არსებული პრობლემების განხილვა და მსგავსი საკითხების გადაჭრის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება სურდა. მონაწილების მსურველებს რეგისტრაცია საამისოდ 17 - 27 ივნისს, ვებგვერდზე www.tsumodernization.tsu.ge შეეძლოთ. მოხსენების ანოტაცია კი ელექტრონული სახით მისამართზე: unimodplatform@tsu.ge 27 ივნისამდე გადაეგზავნათ.

კონფერენციაზე სამუშაოდ რამდენიმე მიმართულება განისაზღვრა. კერძოდ, სტუდენტური გაერთიანების/ორგანიზაციების/ინსტიტუციის მოწყობის/მართვის მოქმედი ფორმების სამართლებლივი ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე.

უცხოური უნივერსიტეტის/უნივერსიტეტების მაგალითი (მათ შორის სტუდენტური გაერთიანებებისა და ორგანიზაციის ფუნქცია-მოვალეობების აღწერა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრირებაში), რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტთა თანამონაწილეობის ფორმას, კონცეფციას ეხება.

მესამე მიმართულება ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ჭრილში სხვადასხვა საუნივერსიტეტო მოდელის ანალიზი და მათი ქართულ რეალობასთან მიმართება გახლდათ, იმის დასაბუთებით თუ რატომ და რამდენად გამოდგება ეს მოდელი ქართულ სინამდვილეში. ასევე წარმოდგენილი მოდელის განხორციელების ხედვა.

# „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შეიარაღებული ძალები“ – გამოფენა თსუ-ში



თსუ ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელმა ცენტრმა – ბიბლიოთეკა და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უნივერსიტეტში გამოფენა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შეიარაღებული ძალები“ გამართეს. ღონისძიებას თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძესთან ერთად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე, სტუდენტები, პროფესორები და იუნკერები დაესწრნენ.

თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დარეჯან თვალთვაძის თქმით, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა არც თუ ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა, თუმცა რამდენიმე საინტერესო ღონისძიება მოაწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები ნებისმიერს დააინტერესებს და, რაც მთავარია, მეცნიერ-მკვლევართა შესწავლის საგანია. განსაკუთრებული მადლობა ნოე რამიშვილის შთამომავლებს, რომელთაც ძალიან საინტერესო დოკუმენტური მასალა გადმოსცეს თსუ ბიბლიოთეკის ცენტრს.“

„პირველი რესპუბლიკის დროს გაკეთდა უამრავი რამ ძალიან ცოტა დროში. აქედან შეიძლება ძალიან ბევრი რამე ვისწავლოთ, გამოცდილება გავიზიაროთ და აღვფრთოვანდეთ იმ ხალხით, რომლებიც ამ ყველაფერს სათავეში ედგა. დღევანდელი ღონისძიება ეხება თავდაცვის სამინისტროსაც. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ის ექსპონატები, რომელიც უნივერსიტეტმა დღეს წარმოადგინა. იმედი მაქვს, რომ ეს არის ერთ-ერთი პროექტი სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის ამ სფეროში თანამშრომლობის ძალიან გრძელ გზაზე,“- აღნიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანა დოლიძემ.

გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის, სახალხო გვარდიის, თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ფოტოები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

გამოფენასთან ერთად გაიმართა თსუ ისტორიის დოქტორანტის დიმიტრი სილაგაძის საჯარო ლექცია და მის მიერვე მომზადებული ბროშურის პრეზენტაცია.

ღონისძიება თსუ-ში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

# თსუ მეცნიერები ხანისწყლის ხეობის ტურისტულ პოტენციალს იკვლევენ

პირველი გვერდიდან



სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ხვედრითი წილი 78 %, პრობლემური სასოფლო-სამეურნეო სახნავი კი - 71%-ს შეადგენს. 2002 წელს სოფელში ცხოვრობდა 817, ხოლო 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით დაფიქსიებულია 525 ადამიანი, მოსახლეობის ცვლილება -36 %.

ექსპედიციის ფარგლებში დაფიქსირებულია რამდენიმე ბუნებრივი ღირშესანიშნაობა, რომელიც ტურისტული თვალსაზრისით შეიძლება იყოს საინტერესო. ერთ-ერთია სოფელ ხანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 კმ-ზე მდინარის ხეობაში მდებარე 30 მეტრიანი ჩანჩქერი, რომელიც იქვე მახლობლად მდინარე ხანისწყალის ქვის თაღში გაედინება. მოსახლეობა ამ ადგილს „ქვახვრელებს“ უწოდებს. სოფელ ხანის მახლობად, კერძოდ კაკასხიდის დიდ კლდეზე, მდინარე ხანისწყლისა და ქერშაულას ხეობის შესართავთან, აღმოჩენილია ქვაზე თევზის ანაბეჭდი. ხანიდან დაახლოებით, 20-25 კილომეტრში ბუნების კიდევ ერთი უნიკალური სანახაობაა, ამ ადგილს ნიქაბეეთი ქვია. კლდიდან გადმოსული წყალი მიწის აუზში ეშვება, და თავისი შემადგენლობის წყალობით რევმატული დაავადების სამკურნალო საშუალებაა. ხანის მშვენებას წარმოადგენს ადგილი გულაშმანის, რომელიც აღსანიშნავია თავისი ტერიტორიის, ბუნების სილამაზის, კლიმატის, ცხოველთა სამყაროს სიმდიდრის გამო. მაგრამ უნიკალურად მას მაინც აქცევს ხელოვნურად გაშენებული ტყე-პარკი, სადაც მსოფლიოში არსებული სხვადასხვა წიწვიანი ჯიშის ხეები არის თავმოყრილი.

თსუ მეცნიერები ხეობასთან დაკავშირებულ პერსპექტივებსა და საფრთხეებზე საუბრობენ:

„მდინარე ხანისწყლის მარცხენა მხარეს, ჩანჩქერის სამხრეთით რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, ერთ-ერთ ნასოფლარში, რომელსაც ქვედა ნოღა ჰქვია, (ზღვის დონიდან 950 მეტრზე) წარმოდგენილია რამდენიმე ტონიანი ლოდები. ერთ-ერთ ლოდში გამორჩეული ფორმის მქონე ქვის საწნახელია გამოკვეთილი. იგი სამი განყოფილებისაგან შედგება და ქვის უბადლო ოსტატების მიერ, დაახლოებით, შუა საუკენებში არის დამუშავებული. ქვის დამუშავების კვალი შეინიშნება ლოდის გარშემოც. ლოდის სიმაღლე, დაახლოებით, 1,8-2,0 მეტრია, სიგრძე კი 3,5 მეტრი, ხოლო სიგანე 4 მეტრს აღწევს. ქვის საწნახელში ამოკვეთილია ხვრელი, საიდანაც სავარაუდოდ გადმოედინებოდა დაწურული ღვინო. იქვე არის დუღაბით შემორჩენილი ქვევრის ნაწილი. ეს უნიკალური წარმონაქმნი ბუნებრივად განიცდის ინტენსიურ გამოფიტვას. როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, ბოლო წლებში გარემო პირობების ზემოქმედების გამო კედლები დაიშალა. შესაძლებელია მომავალში მოხდეს ამ კულტურული მემკვიდრეობის, ჯერ კიდევ, აუღიარებელი უძრავი ძეგლის დაზიანება და განადგურება. უპირველად აუცილებელია მისი დაცვა, სპეციალისტების მიერ მოხდეს მისი შეფასება და დაიწყოს კონსერვაცია. აუცილებელია ამ ძეგლის პოპულარიზაცია, თუმცა ამ ძეგლამდე მისასვლელი საავტომობილო გზა რთულად გასავლელია და საჭიროებს გადაუდებელ აღდგენა-რემონტს. აუცილებელია საინფორმაციო დაფებისა და ტურისტული ბილიკების მოწყობა-მარკირება. სოფელ ხანში და მის შემოგარენში არსებული ტურისტული რესურსების კარგად ათვისებისთვის აუცილებელია სოფელი ხანი შევიდეს „მაღალმთან დასახლებათა ნუსხაში“ შემავალი სოფლების ჩამონათვალში. მოსალოდნელია მომავალში მდინარე ხანისწყლის ხეობაში კვლავ დაფიქსირდეს საინტერესო ბუნებრივი წარმონაქმნები, რაც ამ მხარეში ტურიზმის განვითარების ხელსაყრელ გარემოს შექმნის“. -აცხადებს ექსპედიციის ხელმძღვანელი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი გიორგი დვალაშვილი.



# სიახლეები

*მეორე გვერდიდან*

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თსუ-ს ABET-ის კომიტეტის წევრმა მაგდა ალანიამ.

პირველი ვორკშოფის მუშაობა მონაწილეების მიერ დადებითად შეფასდა. ვორკშოფი დახურა თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ABET-ის კომიტეტის წევრმა გიორგი ღვედაშვილმა.

საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის ინიცირება და მხარდაჭერა გათვალისწინებულია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი ფონდსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

### *წიგნის „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები“ პრეზენტაცია თსუ-ში*

თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის (IAS) მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით, მომზადდა წიგნი „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები“. წიგნის პრეზენტაცია უნივერსიტეტში 9 ივნისს გაიმართა.

„საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები“ მოიცავს საჯარო მმართველობის პრაქტიკულად ყველა სეგმენტის სამართლებრივ ასპექტებს.სახელმძღვანელო ძირითადად გამიზნულია საჯარო მოხელეებისთვის და ემსახურება საჯარო სამსახურებში ერთგვაროვანი და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

პრეზენტაცია ორგანიზებული იყო თსუ-ს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ. წიგნი წარადგინეს შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ-პეტერ ზომერმანმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ სხვადასხვა სამინისტროს, თბილისის მერისა და საკრებულოს, საჯარო სამსახურის ბიუროს, გერმანიის საელჩოს, GIZ – სამართლის პროექტის, თსუ-სა და სხვა უნივერსიტეტების აკადემიური წრის წარმომადგენლები და სტუდენტები.

### *უნივერსიტეტმა ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. წონიარისის საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს უმასპინძლა*

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტისა და საბავშვო უნივერსიტეტის ორგანიზებით, 4 და 5 ივნისს თსუ-მ უმასპინძლა მაღალმთიანი აჭარის, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს. ვიზიტის ფარგლებში მათ დაათვალიერეს უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პანთეონი და ბიოლოგიის მუზეუმი. პედაგოგებსა და მოსწავლეებს ჩაუტარდათ შემეცნებითი ლექციები: ბიოლოგიაში, გეოგრაფიასა და ქიმიაში, მათივე მონაწილეობით ქიმიის ლაბორატორიაში ჩატარდა ცდები.

ამავე პროექტის ფარგლებში ჩვენს სტუმრებს უმასპინძლა ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, სადაც დაათვალიერეს ცენტრის მუდმივმოქმედი გამოფენა და იხილეს უძველეს ხელნაწერთა ორიგინალები და ასლები.

## ინფორმაცია მაგისტრატურაზე ჩაბარების მსურველთათვის

თსუ მაგისტრატურაზე ჩაბარების მსურველებს საკუთარ პროგრამებს და ჩაბარების წესებს წარუდგენს. 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ცხადდება მიღება სამაგისტრო პროგრამებზე, რომელთა ჩამონათვალს შემდეგ მისამართზე იხილავთ: https://tsu.ge/data/file_db/academic_orders/24.2016-danarTi1.pdf

თსუ-ს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს. მიღების წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამისი სამაგისტრო პროგრამით (ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამების თაობაზე იხილეთ შესაბამისი ფაკულტეტის ვებგვერდზე).

• მაგისტრანტობის კანდიდატთა საბუთების მიღება (რეგისტრაცია) – 29 აგვისტო – 2 სექტემბერი;

გამოცდა უცხო ენაში (იმ საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებსაც მოეთხოვებათ უცხო ენის გამოცდის ჩაბარება) – 5 სექტემბერი (9 საათი);

• გამოცდის შედეგების გამოცხადება – 6 სექტემბერი (18 საათი);

• გამოცდის შედეგების გასაჩივრება – 7-9 სექტემბერი;

• აპელაციის შედეგების გამოცხადება – 12 სექტემბერი (18 საათი);

• გამოცდა სპეციალობაში (წერითი კომპონენტი) – 7 სექტემბერი (9 საათი);

• გამოცდის (წერითი კომპონენტი) შედეგების გამოცხადება – 10 სექტემბერი (18 საათი);

• გამოცდის (წერითი კომპონენტი) შედეგების გასაჩივრება – 12-14 სექტემბერი;

• აპელაციის (წერითი კომპონენტი) შედეგების გამოცხადება – 15 სექტემბერი (18 საათი);

• გამოცდა სპეციალობაში (იმ საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებსაც მოეთხოვებათ ზეპირი კომპონენტის ჩაბარება) – 12 სექტემბერი;

• ხელშეკრულების გაფორმება მაგისტრანტობის კანდიდატებთან – 16-20 სექტემბერი;

• საგანმანათლებლო ერთეულების მიერ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისათვის მაგისტრანტობის კანდიდატთა სიის წარდგენა – 21 სექტემბერი;

• ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება – 22 სექტემბერი.

დეტალები შეგიძიათ იხილოთ თსუ საიტზე www.tsu.edu.ge

# საქართველოს ფუტსალისა და სტუდენტური ფუტსალის ლიგის გამარჯვებულები თსუ-ს გუნდები არიან

*მეორე გვერდიდან*





განაახლებს ვარჯიშებს და ევროპის ფუტსალის ჩემპიონატისთვის დაიწყებს მზადებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის კაპიტანი დავით ბობოხიძე ასე იხსენებს გამარჯვების ისტორიას:

„საქართველოს ფუტსალის ლიგა ბოლო წლებთან შედარებით, ყველაზე კარგად ორგანიზებული ტურნირი იყო. ჩვენი გუნდი ათი წელია,რაც არსებობს, მეც დაარსების დღიდან აქ ვთამაშობ, ამ დროის განმავლობაში ყველა არსებული ტურნირის გამარჯვებულები გავხდით, ჩვენი მიზანი საქართველოს ჩემპიონობა იყო და ათი წლის თავიც სწორედ ამ ტიტულით დავაგვირგვინეთ. გუნდის წევრები მხოლოდ ფეხბურთით ვართ დაკავებულები. მე პირადად, სამხატვრო აკადემიის ფუტსალის გუნდის მწვრთნელი ვარ, მივაღწიეთ უკვე გარკვეულ წარმატებებსაც. თითოეული ჩვენგანი,რითიც შეგვიძლია ახალგაზრდებს ვეხმარებით და აქტირუად ვართ ჩართული ამ სპორტის პოპულარიზაციაში.

მიუხედავად იმისა,რომ თამაშს დანაკლისებით შევხვდით,ფინალში ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ სტუ- თელასს. დაძაბული თამაში იყო და ბოლო წამებზე შევძელით გოლის გატანა. ჩემპიონატისთვის დიდიხანი ვემზადებოდით,რაც როგორც შედეგში,ისე სხვა თამაშებშიც აისახა – ფინალის ჩათვლით ყველა თამაში გავიმარჯვეთ.

ჩვენ გამარჯვებაში განსაკუთრებულად დიდი წვლილი მიუძღვის გუნდის ხელმძღვანელს ირაკლი ხარჯევანიძეს,ექიმს მამუკა კვანტალიანს და მწვრთნელს ბესო არველაძეს, მადლობა ამ ადამიანებს ჩვენი გუნდისგან. თითოეულ ჩვენგანს არაფერი დაუშურებია ამ წარმატებისთვის. მადლობას ვუხდით ასევე თსუ სპორტისა და კულტურის ადმინისტრაციას,რომელიც მუდმივად მხარში გვიდგას.

ფინალი ემოციური იყო იმ მხრივაც,რომ პირველად ვნახე სავსე დარბაზი, მადლობა ჩვენს გულშემატკივარს, რომელშიც ჭარბობდნენ თსუ სტუდენტები. მათმა ხმაურმა, აქტიურობამ სხვებიც აიყოლია. ყველანაირი პირობა გვქონდა იმისთვის შექმნილი,რომ გაგვემარჯვა და გავიმარჯვეთ კიდეც.

შემდეგი ეტაპი არის ის,რომ ჩვენი გუნდი,როგორც საქართველოს ჩემპიონი უეფას ფუტსალის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. დავიწყეთ ვარჯიში და ყველანაირად ვეცდებით,რომ ვასახელოთ ჩვენი ქვეყანა და უნივერსიტეტი ევროპულ სარბიელზე“.

თსუ სტუდენტური ფუტსალის გუნდის ჩემპიონიც გახდა. სტუდენტური გუნდი დაძაბულ ფინალში სტუ-ს შეხვდა. თსუ სტუდენტური ფუტსალის გუნდის კაპიტანი მიხეილ თევზაძე ამბობს, რომ: „ამ ჩემპიონატში თსუ-მ ბოლოს 3 წლის წინ გაიმარჯვა და წელსაც მოიპოვა გამარჯვება. ფინალამდე საკმაოდ კარგი შედეგი გვქონდა: ყველა მათგანი მოვიგეთ, მხოლოდ ერთი ვითამაშეთ ფრე. ჩემპიონატის მიმდინარეობისას აღვნიშნავდით,რომ ყველაზე ძლიერი და კარგი გუნდი სხვა გუნდებს შორის სწორედ სტუ იყო. მათ შევხვდით ფინალამდე, 2-0-ს ვაგებდით,თუმცა 4-3 გავიმარჯვეთ. გამარჯვებისთვის მაქსიმალურად ვიყავით მოტივირებულები, უკლებლივ ყველა მოთამაშემ ძალიან კარგად ითამაშა, ჩვენს მეკარეს ტრანმვა ჰქონდა,თუმცა ჩვენი ექიმის დამსახურებით ამას ხელი არ შეუშლია. ძალიან დიდი მადლობა თსუ-ს სპორტის დეპარტამენტს და თვითმმართველობას, რომელსაც გულშემატკივრებთან ერთად, ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს გამარჯვებაში.

ამ გამარჯვების შემდეგ ბუნებრივია,რომ ვემზადებით ევროპის ჩემპიონატისთვის, დავიწყეთ უკვე ვარჯიშები. 16 ივლისს დაიწყება ათდღიანი ტურნირი ხორვატიაში და მოტირივირებულები ვართ. მხოლოდ მონაწილეობისთვის არ მივდივართ, მივდივართ გამარჯვებისთვის“.

# სტუდენტური კონკურსი “პლანეტა რიდმორი” დასრულდა

*მეორე გვერდიდან*

ფინალისტების ათეულში არიან სტუდენტები: გიორგი ბუხრიკიძე; ბექა გოგინავა; ნათია გოგიჩაიშვილი; მედეა ფანცულაია; ლალი ღავთაძე; ლევან ღავთაძე; ქეთევან ჩიჩუა; ანა ჩხარჩხალია; ხატია ძამუკაშვილი; ნათია ხვიჩია.



შემეცნებითი პროექტი უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის მაისში დაიწყო და ორი თვის განმავლობაში ტარდებოდა. კონკურსანტები რამდენიმე დღის ინტერვალით პროექტისათვის შერჩეულ წიგნებს კითხულობდნენ და შემდეგ მათთვის მომზადებულ ტესტებს წერდნენ. საერთო რეიტინგში ყველაზე მაღალი ქულების მქონე 10 კონკურსანტი ერთმანეთს ფინალში შეხვდა. შერჩეულ ლიტერატურას შორის იყო: შერჩეული წიგნების სია:

ყვავილები ელჯერნონისთვის; ორი თავგადასავალი; ტანმოხატული კაცი; კარი ზაფხულში; წყვდიადის მარცხენა ხელი; ოცნებობენ ანდროიდები ელექტრონულ ცხვრებზე; ენდერის თამაში; გონების მიღმა; ილაპარაკე; მარსელი.

პროექტის თითოეულ ეტაპზე გამოვლინდა ტურის ლიდერი, რომელიც სამახსოვრო საჩუქრებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდა, კონკურსის ფარგლებში ჩატარდა 5 ონლაინ ვიქტორინა, რომლის გამარჯვებულებიც პრიზებს და დამატებით 2 ქულას იღებდნენ. პროექტის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით და მას უნივერსიტეტი და გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ ერთობლივად ახორციელებენ. პროექტის მიზანია ახალგაზრდების წიგნიერების ხელშეწყობა და კონკურსის ფორმით სტუდენტებისთვის მეტი მხატვრული ლიტერატურის შეთავაზება.

# „სტუდენტური დღეები 2016“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯგუფებმა „სტუდენტური დღეები 2016“-ის ფარგლებში გამართულ სპორტულ, კულტურულ და ინტელექტუალურ შეჯიბრებებში საუკეთესო შედეგები აჩვენეს.

სტუდენტურ ღონისძიებაში თსუსთან ერთად საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა გაიმარჯვა. პროექტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გრანდიოზული კონცერტით საზეიმოდ დაიხურა. ღონისძიებაში მონაწილეობა გამარჯვებული უნივერსიტეტების შემოქმედებითმა ჯგუფებმა და შემსრულებლებმა მიღეს. ორივე უნივერსიტეტის რექტორებსა და თვითმმართველობის თავმჯდომარეებს ჯილდო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა გადასცა.

ბაჩო კერესელიძე, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი :

”სტუდენტური დღეები” არის სტუდენტური ღონისძიება, რომელსაც ჰქონდა ტრადიციის სახე წლების განმავლობაში, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ეს ტრადიცია დაირღვა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპატამენტისა და სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, 2010 წლის დეკემბერში საუნივერსიტეტო სივრცეში ძველი ტრადიცია აღორძინდა და სეზონური სახე მიიღო.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ 2011 წლის გაზაფხულზე “სტუდენტური დღეების“ პროექტის განხორციელება დაიწყო.

თსუ აღნიშნულ პროექტში 2011 წლიდან არის ჩართული და ყოველ წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ყველა საკონკურსო ტურში.

მონაწილეების შერჩევა ხდება ისევე, როგორც უნივერსიტეტის შემოქმედებითი და სპორტული გუნდებიდან, ასევე იმ სტუდენტებიდან, რომლებიც საუნივერსიტეტო სტუდენტურ ღონისძიებებში იღებენ მონაწილეობას და ჩართულნი არიან აქტიურ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზების თვალსაზრისით, პროექტი ნელ-ნელა უფრო იხვეწება და ყოველ წელს უკეთესი მდგომარეობა გვხვდება საკონკურსო ტურებზე, რისთვისაც მადლობას ვუხდით სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge